



მთავარი | ჟურნალისტური გამოძიება | კარმიდამო ჩემი | 21-ს ქვევით | G-NEWS TV | საინტერესო ამბები

მთავარი თემა | პოლიტიკა | საზოგადოება | ეკონომიკა | სამართალი | მეცნიერება | კულტურა | სპორტი | აკიდე | გაზეთის PDF ვერსია

განცხადებები

კონტაქტი

ფინანსური ანგარიში

ბლოგები

თამაშები



ფოტო

ვიდეო

პედაგოგთა სერთიფიკირების პროგრამა იცვლება

სალომე სიგუა, ორშაბათი, 14 ოქტომბერი 2013 15:08

Tweet 0

მომწონს 410

მასწავლებელთა სერთიფიკირების პროგრამა შესაძლოა გაუქმდეს, ან გადაიხედოს და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდეს.



განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახალი სტემაზე მუშაობს, რომელიც უკვე არსებულ პედაგოგთა სერთიფიკირების პროცესს ჩანაცვლებს. მასში ჩართულები იქნებიან, როგორც სერთიფიკირებული, ასევე, არასერთიფიკირებული პედაგოგები.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ საკინიძის განცხადებით, სერთიფიკირება შეფასების ერთადერთი საშუალება არ იქნება.

"არსებული სტემა ძალიან ცუდად დაგეგმილი იყო. ეს, რომ შეგვესრულებინა, 2015 წლისთვის პედაგოგების სერიოზული დეფიციტი შეგვექმნებოდა. რაც სკოლების დახურვას გამოიწვევდა. შევიმუშავეთ კონცეფცია, რომლითაც არსებულ სერთიფიკირების პროცესს ჩანაცვლებთ. შეფასების სისტემა, რომელსაც დავნერგავთ, მრავალმხრივი იქნება. უახლოეს დღეებში ამ სქემის განხილვას შეუდგებით. პედაგოგების განვითარება-გადამზადება იცვლება. მათი კარიერული წინსვლა არსებულ საჭიროებებზე მორგებული უნდა იყოს.

"სერთიფიკირება შეფასების ერთადერთი საშუალება არ იქნება. მას პრაქტიკული ნაწილიც დაემატება. სერთიფიკირების გამოცდა აუცილებლად განიცდის ტრასფორმაციას. კომპლექსური შეფასება გვექნება. მაღალ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული კვლევა დაიწყო, რომელიც გვიჩვენებს, სად გვაქვს სამუშაო. გვაქვს სხვა კვლევების შედეგები, რომელზეც ეს ალტერნატიული მოდელი ავაგეთ. თუმცა, კვლევა, რომელსაც გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩაატარებს, საბოლოო იქნება, რომ ეს პრობლემა ბოლომდე გადაწყვეტილი. პრობლემა მოგვარებადია. სტემა, რომელსაც პედაგოგებს შევთავაზებთ ყველასთვის სავალდებულო იქნება. ყველა პედაგოგს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა ექნება", _ აცხადებს სანიკიძე Aris.ge- სთან ინტერვიუში.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტი მაია კობახიძე "გურია ნიუსთან" საუბრისას აღნიშნავს, რომ მასწავლებელთა სერთიფიკირების პროგრამის გადახედვა მართლაც დგას დღის წესრიგში, თუმცა დეტალები ჯერ-ჯერობით ცნობილი არაა.

"განათლების მინისტრს სერთიფიკირების პროცესთან დაკავშირებით ძალიან კარგი გადაწყვეტილებები აქვს მიღებული და ის პირდაპირ მასწავლებლების ინტერესებიდან გამომდინარეობს.

"რაც შეეხება პროგრამის გაუქმებას, გვისაუბრია ამაზე. დეტალები ჯერ ცნობილი არაა, თუმცა, აღნიშნული პროგრამა შესაძლოა დაიხვეწოს და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვაგვარი მეთოდით ჩანაცვლდეს.

"ყველა მასწავლებლის მოთხოვნაა, რომ სერთიფიკირება არ იყოს სავალდებულო. მასწავლებლებში უნდა გაიზარდოს მოტივაცია, რათა მან სტატუსის ამაღლების მიზნით გამოცდაზე გასვლა თავად მოისურვოს, მაგრამ პედაგოგს საშუალება უნდა მიეცეს კრედიტები გამოცდაზე გასვლის გარეშე დააგროვოს. ჩვენი მოთხოვნა მუდმივად იყო ის, რომ სერთიფიკირება მასწავლებლისთვის სადამსჯელო ღონისძიებას არ უნდა წარმოადგენდეს. ეს სერთიფიკირების პროცესი და პედაგოგის კვალიფიკაციის ასამაღლებელი გადამზადება, ერთმანეთთან თანხვედრი არ იყო. ტესტებს, რომლებსაც უცხოელი ექსპერტები ადგენდნენ, ქართულ რეალობას არ იყო მორგებული. შესაბამისად, ვიდრე შედეგს, როცა მასწავლებელი, რომელიც პრაქტიკულ საქმიანობაში ძალიან კარგი იყო, ამ გამოცდებზე საკმარის ქულას ვერ აგროვებდა. ყოველივე ეს კი ნიშნავს, რომ სერთიფიკირების პროექტი ნაკლოვანებებით სავსეა და ის სიღრმისეულ გადახედვასა და ცვლილებებს მოითხოვს", _ ამბობს "გურია ნიუსთან" საუბრისას კობახიძე.

პედაგოგთა სერთიფიკირების გამოცდების სხვა ტიპის პროგრამებით ჩანაცვლებას მიესალმება პარლამენტის წევრი და განათლების სპეციალისტი ნინო გოგუაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა ტრეინინგებითა და საგნობრივი გადამზადებით უნდა ხდებოდეს.

"ამ პროექტს ხარვეზები ჰქონდა. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სხვადასხვა სახელმწიფოებში განსხვავებული მოდელები, თუნდაც იგივე ტრეინინგები, საგნობრივი გადამზადება, ახალი მეთოდების სწავლება...

"სერთიფიკირება - ეს იყო ტესტები, რომლითაც მასწავლებლობა რეგულირებდა სპეციალობად გარდაიქმნა. რეალობამ გვიჩვენა, რომ ასეთმა სისტემამ შედეგი ვერ მოგვცა. უმრავლესობა ამ გამოცდას ვერ აბარებდა.

"თუ ახალი სისტემით პედაგოგებს მიეცემა საშუალება კრედიტები სხვადასხვა ტრეინინგების გავლით დააგროვონ, გაცილებით მისაღებია. ეს ორიენტირებული იქნება არა მასწავლებელთა დასჯაზე, არამედ მუდმივად მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე", _ უთხრა "გურია ნიუსს" გოგუაძემ.

